საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/57 " 17 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. მერაბიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ნათია მერაბიშვილი 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დასაბუთება

ნათია მერაბიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 7 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 24 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ნათია მერაბიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ნათია მერაბიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 17-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 8 წლისა და 10 თვის გამოცდილება. იგი საერთო სასამართლოების მოსამართლეა 2012 წლის 21 მაისიდან. ნათია მერაბიშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს საგადასახადო ინსპექციისა და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომელი. თავდაპირველად იგი იყო ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ამჟამად კი არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

ნათია მერაბიშვილს აქვს საქმეთა განხილვის კარგი მაჩვენებელი როგორც პროდუქტიულობის, ისე სტაბილურობის კუთხით. მოღვაწეობის ბოლო 3-წლიან პერიოდში დასრულებული აქვს 3619 საქმე (საშუალოდ დღეში 4 საქმე), ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან უცვლელი დარჩა საქმეთა 75,9%. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნათია მერაბიშვილის მიერ საქმეთა განხილვისას საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი, კერძოდ, მას საქმეთა 100% განხილული აქვს საპროცესო ვადების დაცვით.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ნათია მერაბიშვილს გაესაუბრნენ 2021 წლის 3 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

კანდიდატის შეფასება:

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი ნათია მერაბიშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ნათია მერაბიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ ნათია მერაბიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1026 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85,50%-ია.

კენჭისყრის შედეგები:

2021 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მე-2 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, ნათია მერაბიშვილმა მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 23 კანდიდატი, მათგან 5 მოქმედი პირველი ინსტანციის მოსამართლე, 1 ყოფილი მოსამართლე და 17 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბუგიანიშვილი ვალერიან - 0 ხმა
2. გზირიშვილი ალექსანდრე - 0 ხმა
3. გოცირიძე კობა - 0 ხმა
4. ელიაძე ეკატერინე - 0 ხმა
5. ენუქიძე ნინო - 0 ხმა
6. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
7. თოდუა უჩა - 0 ხმა
8. თუნაური გიორგი - 0 ხმა
9. კალანდაძე თეა - 0 ხმა
10. კაპანაძე თორნიკე - 0 ხმა
11. კაჟაშვილი ლიანა - 0 ხმა
12. მაკარაძე დავით - 0 ხმა
13. მერაბიშვილი ნათია - 10 ხმა
14. ობოლაძე ეკატერინე - 0 ხმა
15. სამხარაძე სალომე - 0 ხმა
16. ტყეშელაშვილი ირინე - 0 ხმა
17. ტყეშელაშვილი რომეო - 0 ხმა
18. ფოლადიშვილი ლიელა - 0 ხმა
19. ყოლბაია ლევან - 0 ხმა
20. ჩიკაშუა ირაკლი - 1 ხმა
21. ჭილაია კოტე - 0 ხმა
22. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა
23. ჯინჭველაშვილი ეკატერინე - 0 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

დასკვნა:

კანდიდატ ნათია მერაბიშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი დასაბუთების უნარის, სამართლებრივი ნორმების ცოდნის, წერის უნარის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა ნათია მერაბიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი